



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ანჯაფარიძე ირაკლი ერმილეს ძე

ანჯაფარიძე ირაკლი ერმილეს ძე (1. I 1915, სოფ. აბედათი, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, - 15. I. 1990, თბილისი), ნიადაგმცოდნე. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1968), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1986).

1935 დაამთავრა საქართვე. სას.-სამ. ინ-ტი. 1945 - 49 იყო საქართვე. მეცნ. აკად. მემინდვრეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი, 1953 - 59 - ქუთ. სას.-სამ. ინ-ტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგე.

1959-იდან სამეცნ.-პედ. საქმიანობას ეწეოდა საქართვე. სას.-სამ. ინ-ტში (ახლანდ. საქართვე. აგრ. უნ-ტი). შეისწავლა საქართვე. ყავისფერი და დამლაშებული ნიადაგები. აგროქიმ. თვალსაზრისით გამოიკვლია საქართვე. უმთავრესი ნიადაგური ტიპები. პირველად დაამუშავა (ი. სარიშვილთან ერთად) საქართვე. ნიადაგის აგროქიმ. კარტოგრამები. შეადგინა (გ. ტალახაძესთან ერთად) საქართვე. ნიადაგის ატლასი და ნიადაგთნარმომქმნელი ქანების რუკა. მასვე ეკუთვნის „მელიორაციული ნიადაგმცოდნეობის“ სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის და 4 მონოგრაფიული ნაშრომი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

---